ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6128824

ნომერი: AR1922399

თარიღი : 16.09.2022

გაცემის თარიღი : 19.09.2022

გაცნობის თარიღი : 20.09.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 1-3 , (ნაკვ.10/030);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კვიწინაშვილი პ/ნ 01006005364
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 1 ბ. 9

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 20486548
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნათია აბასაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01030030883

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მარიამ ბოჭორიშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1..საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.:
- ტოპოგეგმაზე დატანილ იქნეს ხაზობრივი ნაგებობები.
-წარმოდგენილ იქნეს არსებული გენგეგმა ხე-ნარგავების ჩვენებით;
- გენგეგმაზე ნაჩვენები იქნეს ხე-ნარგავებისა და საპროექტო შენობას შორის მანძილები;
-აქვე გაითვალისწინეთ, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და არსებულ მწვანე ნარგავებს შორის შეადგენს 3 მეტრს; ბუჩქების შემთვევაში 1.5 მეტრს.
იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება აღნიშნული მანძილების დაცვა წარმოდგენილ იქნას უფლებამოსილი ორგანიზაციის ან/და სპეციალისტის დასკვნა ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების მდგომარეობის, სახეობის და გარშემოწერილობის შესახებ, რომელიც იზომება მიწის ზედაპირიდან 10სმ სიმაღლეზე და ტაქსაცია არსებული ხე/ნარგავების მოჭრა/გადატანაზე, შესაბამისი ექსპლიკაციითა და ნუმერაციით.
იმ შემთხვევაში თუ ხდება არსებული ხე/ნარგავების მოჭრა/გადატანა საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით.

2..კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი -> .ძეგლის არქიტექტურული პროექტის pdf ფაილი:
პროექტი ხელმოწერილ იქნეს შესაბამისი შემსრულებლის მიერ.
-განმარტებით ბარათში მითითებულ იქნეს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.
-წარმოდგენილი იქნეს ტერიტორიის კეთილმოწყობის სრულყოფილი პროექტი, შესრულებული მისაწვომობის ეროვნული სტანდარტების სრულად დაცვით, ასევე წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი საექსპერტო დასკვნა და გრაფიკული მასალა.
-წარმოდგენილ იქნეს ფასადის ნახაზები ყველა მხარეს.
-ყველა ჭრილის ნახაზზე დატანილ იქნეს ღერძის ხაზები.
-წარმოსგენილ იქნეს ჭრილის პანდუსის ნაწილში.
- პროექტში ასახული იქნეს საყრდენი კედელი;
3..კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კონსტრუქციული პროექტი -> .ძეგლის კონსტრუქციული პროექტის pdf ფაილი: წარმოდგენილ იქნეს აღნიშნული.
.მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით. -> .მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით pdf ფაილი.: წარმოდგენილ იქნეს მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით.
4. .საჭიროების შემთხვევაში კონსტრუქციული დასკვნა ჩასატარებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ: წარმოდგენილ იქნეს საყრდენი კედლის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ.
5. დამკვეთის ინფორმაციაში ნათია აბასაშვილის ნაცვლად სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და მისი პირადი ნომერი მიეთითოს.
6. დამატრებით წარმოდგენილ იქნეს ობიექტის ფოტომონტაჟები გამწვანებების გარეშე.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა

შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.